**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის**

**ბრძანება №2-146**

**2023 წლის 21 მარტი**

**ქ. თბილისი**

**„საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 იანვრის №2-29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 იანვრის №2-29 ბრძანებით (ვებგვერდი, 15/01/2020; სარეგისტრაციო კოდი: 340120000.22.023.016616) დამტკიცებულ „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგში“ შეტანილ იქნეს ცვლილება დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**სოფლის მეურნეობის მინისტრი** **ოთარ შამუგია**